ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №543408

ნომერი: AR1104033

თარიღი : 21.01.2013

გაცემის თარიღი : 13.02.2013

გაცნობის თარიღი : 01.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , I ხეივნის 6 და 8-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა I ხეივანი , N 13 ;

ჭავჭავაძის 12

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქეებმა რევაზ ტყემალაძემ და ნინო ფირცხალავამ 2013 წლის 21 იანვარს #AR1104033 განცხადებით მომართეს სამსახურს და მოითხოვეს სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან, ასევე, ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 2010 წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ხეივანის I ქ. #3, გულუას ქ. I ხეივანის #6 და #8–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.003.074;

ფართობი: 563.00 კვ.მ.) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) მიზნით დამტკიცებული იქნა #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნულ პირობებში სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის #5181 ბრძანებით შევიდა ცვლილება მიწის ნაკვეთის ფართობთან დაკავშირებით, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობს დაემატა 136.00 კვ. მ. საკადასტრო კოდით #01.18.05.003.095.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #892012162454; მომზადების თარიღი: 25.12.12) თანახმად ირკვევა, რომ #01.18.05.003.074 და #01.18.05.003.095 საკადასტრო ერთეულების გაერთიანებისა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მიერთების შედეგად შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 726.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.18.05.003.111.

განმცხადებლები ასევე ითხოვენ სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციასთან დაკავშირებით, კერძოდ: ობიექტის ფუნქციად საზოგადოებრივი კვების ობიექტის დაფიქსირებას.

სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის ობიექტის განთავსება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან, ასევე ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ:

ა) საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს: 726.00 კვ.მ., ახალი საკადასტრო კოდი: #01.18.05.003.111
ბ) საპროექტო მიწის ნაკვეთის ფუნქციად მიეთითოს: "საზოგადოებრივი კვების ობიექტი".

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #892012162454; მომზადების თარიღი: 25.12.12, საკადასტრო კოდი: #01.18.05.003.111).

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 დეკემბრის #1736 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის #5181 ბრძანებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.